



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	აგროინჟინერია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	დამატებითი სპეციალობის სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი, მიღწეული სწავლის შედეგი აისახება დიპლომის დანართში
ფაკულტეტის დასახელება	აგრარული ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	ასოც. პროფ. მ. წიქორიძე, აგროინჟინერიის დოქტორი ტელ: 0(431) 29-03-93; 591-60-64-04; E-ml: <a href="mailto:mamuka.tsiqoridze@atsu.edu.ge">mamuka.tsiqoridze@atsu.edu.ge</a>
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი) – 60 ECTS კრედიტი (1500 საათი), თითოეულსემესტრში 10 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	16.09.2011 - აკრედიტაცია. ყოველწლიური განახლება.
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>	
აღნიშნული დამატებითი სპეციალობის არჩევა შეუძლიათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებს, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.	
<b>პროგრამის მიზნები</b>	
პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა და ჩამოუყალიბოს შესაბამისი უნარები: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში მექანიზებულ სამუშაოების დაგეგმვისა და წარმართვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებისა და მათი გამართული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდებისა და ხერხების შესახებ.	
<b>სწავლის შედეგები</b>	
ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> <li>1.აღწერს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების აგროტექნიკური ოპერაციებისას გამოყენებული მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციებს, მუშაობის პრინციპებსა და ექსპლუატაციის წესებს;</li> <li>2.განსაზღვრავს მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობების, დანადგარებისა და აგრეგატების შერჩევის მეთოდებს.</li> <li>3.განსაზღვრავს საწარმოო პროცესებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების რაციონალურ ხერხებსა და მეთოდებს;</li> <li>4.აღწერს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობისა და ხანგამძლეობის</li> </ol>

	გაზრდის მეთოდებს, მანქანათა ტექნიკური სერვისის თანამედროვე ტექნოლოგიებს, განსაზღვრავს ტექნიკური სერვისის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხერხებს.
უნარი	<p>5. ანგარიშობს სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების საექსპლუატაციო მაჩვენებლებს და სამუშაო რეჟიმების პარამეტრებს;</p> <p>6. აგროტექნიკური ოპერაციების მაღალი ხარისხით შესრულებისათვის ირჩევს შესაბამისი საექსპლუატაციო მაჩვენებლების მქონე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და გეგმავს მათი ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს;</p> <p>7. ირჩევს მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიურ მანქანა-მოწყობილობებს, დანადგარებსა და აგრეგატებს;</p> <p>8. ანგარიშობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოო პროცესში საექსპლუატაციო დანახარჯების მაჩვენებლებს და განსაზღვრავს მათი მინიმიზაციის პირობებს;</p> <p>9. გეგმავს და ორგანიზებას უწევს ტექნიკური სერვისის საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურებისა და რემონტის ტექნოლოგიურ ოპერაციებს;</p> <p>10. გეგმავს და ორგანიზებას უწევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების პროცესში და ტექნიკური სერვისის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას.</p>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
<b>სწავლების მეთოდები</b>	
დემონსტრირების, ვერბალური, დისკუსია-დებატების, ლაბორატორიული და წერითი მუშაობის მეთოდები	
<b>პროგრამის სტრუქტურა</b>	
<b>იხ. დანართი 1</b>	
<b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/</b>	
<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: <b>სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;</b> <b>შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;</b> <b>დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.</b></p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს <b>არანაკლებ 18 ქულას.</b></p> <p><b>შეფასების სისტემა უშვებს:</b></p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის</p>	

უფლება;

**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამის სილაბუსებში.

### **დასაქმების სფეროები**

დამატებითი (minor) პროგრამით მომზადებული ბაკალავრის დასაქმების ობიექტებია: მექანიზაციის ლოჯისტიკური ცენტრები, ტექნიკური სერვისის ობიექტები; სასოფლო-სამეურნეო სააქციო საზოგადოებები; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები; ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, ადგილობრივი თვითმართველობებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების სოფლის მეურნეობის მიმართულების სამსახურები და განყოფილებები.

### **სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები**

**1. აუცილებელი ადამიანური რესურსი:** ბაკალავრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე 5 სპეციალისტი: 5 ასოცირებული პროფესორი.

(აკადემიური პერსონალის CV-ები პროგრამას თან ერთვის. პროგრამის განმახორციელებელი აუცილებელი ადამიანური რესურსი იხილეთ დანართი 5 სახით).

**2. სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა:** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსების სილაბუსებით, სალექციო კურსებით, ძირითადი სახელმძღვანელოებით და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებით და აუდიო/ვიდეო მასალებით.

**3. აუცილებელი მატერიალური რესურსი:** პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ესენია: სასწავლო მასალით უზრუნველყოფილი სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრები, აგრარული ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის კაბინეტ-ლაბორატორიები.

**აკადემიური პერსონალი**

	ადამიანური რესურსი	აკადემიური ხარისხი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი კურსები
1	წიქორიძე მამუკა	აგროინჟინერი ის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საშუალებები; ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგია და საინჟინრო მელიორაცია; მებაღეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები
2	თავბერიძე სოსო	აგროინჟინერი ის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოო ექსპლუატაცია; მანქანების ტექნიკური ექსპლუატაცია; მანქანების საიმედოობა და რემონტი; აგროსაინჟინრო სერვისი.
3	კილასონია ემზარი	აგროინჟინერი ის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული საშუალებები; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო მასალები; მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია; მცირე მექანიზაციის საშუალებები სოფლის მეურნეობაში.
4	კბილაშვილი დავითი	აგროინჟინერი ის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	მანქანების საიმედოობა და რემონტი; აგროსაინჟინრო სერვისი.
5	გოგიშვილი ნანა	ტექნოლოგიებ ის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ტექნიკური სერვისის საწარმოთა უსაფრთხოება



სასწავლო გეგმა 2020

Minor საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგროინჟინერია

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/აბ/ჯგ	სემესტრი								დამგების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედური და დასკვნითი გამოცდები	დამოუკიდებელი მუშაობა										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
<b>დამატებითი (minor) სპეციალობა 60კრედიტი</b>																
1	სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული საშუალებები	5	125	45	3	77	15/30/0/0			5						
2	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საშუალებები	5	125	45	3	77	15/30/0/0			5						
3	ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგია და საინჟინრო მელიორაცია	5	125	45	3	77	15/30/0/0				5					
4	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო მასალები	5	125	45	3	77	15/30/0/0				5					
5	მებაღეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები	5	125	45	3	77	15/30/0/0					5				
6	ტექნიკური სერვისის საწარმოთა უსაფრთხოება	5	125	45	3	77	15/15/15/0					5				

7	მცირე მექანიზაციის საშუალებები სოფლის მეურნეობაში	5	125	45	3	77	15/30/0/0						5			
8	მეცხოველების ფერმების მექანიზაცია	5	125	45	3	77	15/30/0/0						5			
9	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოო ექსპლუატაცია	5	125	45	3	77	15/30/0/0							5		
10	მანქანების ტექნიკური ექსპლუატაცია	5	125	45	3	77	15/30/0/0							5		
11	მანქანების საიმედოობა და რემონტი	5	125	45	3	77	15/30/0/0								5	
12	აგროსაინჟინრო სერვისი	5	125	45	3	77	30/15/0/0								5	
<b>სულ</b>		<b>60</b>	<b>1500</b>	<b>540</b>	<b>36</b>	<b>924</b>	<b>195/330/15/0</b>			<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	